

ოქმი N10

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 26 აპრილი

ქ. ოზურგეთი, 12⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:
ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ლ.თოიძე, ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე,
მ.მახაროზლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: თ.ნადირიძე, ნ.ორაგველიძე, კ.კვაჭაძე,
თ.სალუქვაძე.

საკრებულოს წევრები: გ.ძიმისტარიშვილი, ნ.შარაშანიძე, ვ. ჩიგოგიძე,
ლ.მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს
უფროსი ლ. ჭელიძე, საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები,
არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: ლ.ბიგვავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ. გოგუაძე.

დღის წესრიგის გამოცხადებამდე ნ. გოგუაძემ დამსწრეთ გააცნო
საკრებულოს წევრების მიმართვა თვითმმართველობაში სავარაუდო
ცვლილებებთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც
დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების
წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ წარმოადგინა წლიური ანგარიში 2016 წლის
ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა 10 ხმით

**წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, ლ. მგელაძე, ნ. შარაშანიძე.
განკარგულება თან ერთვის**

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებლები: ირინე საჯაია
გრიგოლ მახარაძე
თამაზ ტრაპაიძე**

მომხსენებელმა ი.საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტის შესახებ სამანდატო-საპროცედურო და იურიდიული კომისიის დასკვნა და პეტიციის ტექსტურ ნაწილში შესატანი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შემოსული შენიშვნები და რედაქტირება.

- აზრი გამოთქვას: ნ. გოგუაძე** - საკრებულოს იურისტმა გააკეთოს განმარტება სიტყვა „დაუშვებელთან“ დაკავშირებით.
- ე.ჯაფარიძე** - თუ ჩვენ ჩავწერთ „დაუშვებელია“ პირდაპირი გაცემით, ამით ჩვენ შევეწინააღმდეგებით თვითმმართველობისა და ორგანულ კანონებს. მითუმეტეს თუ ქონება გაიცემა აუქციონის წესით, შედეგი დადგება იგივე.
- ლ. მგელაძე** - თუ ეს მუხლი ამოვიღეთ, პეტიციას აზრი აღარ ექნება.
- ნ. გოგუაძე** - განმარტებითი ბარათით პეტიციის ძირითადი მიზეზი არის სარეკრეაციო რესურსებისა და საზოგადოებრივი სივრცის შემცირება. ერთადერთი შეზღუდვა არის პირდაპირი გაცემის წესის შეზღუდვა. ამით ჩვენ ვიწესებთ „თვითშეზღუდვას“.
- თ. სალუქვაძე** - ბიუროზე განვიხილეთ საკითხი, მივიღე კონსულტაცია იურისტებიდან და გამიჩნდა ჩემი მოსაზრება: ეს დოკუმენტი არ არის სპონტანურად შექმნილი, ეს მოიტანა ვითარებამ, პროცესებმა და დრომ. ეს კარგია. დიდი მადლობა ამ ადამიანებს საჭირო დოკუმენტის შექმნისათვის. ჩვენ ერთი წლის წინ შევადგინეთ მსგავსი დოკუმენტი, რომელიც სამწუხაროდ რატომღაც ბოლომდე ვერ მივიყვანეთ.
- ლ. მგელაძე** - ბოლომდეც მივიყვანეთ, (ინიციატორი იყო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია) მერიიდან დასკვნაც მივიღეთ, მაგრამ შემდეგ ვიღაცამ თუ რაღაცამ შეაფერხა დოკუმენტის მიღება.
- თ. სალუქვაძე** - არც ერთ შემთხვევაში ჩვენ ეს დოკუმენტი არ უნდა განვიხილოთ იმ კუთხით, რომ ვიღაცას რაღაცა უფლება ეზღუდება. ეს დოკუმენტი

სულ სხვა კუთხითაა შექმნილი, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, როგორ ვექვევით ტერიტორიებს. ეს არის აპოლიტიკური ანუ "ოზურგეთული" საკითხი, ამიტომ მე მინდა მხარი დავუჭირო ამ დოკუმენტს, ამით მე ვიცავ თვითმმართველობის ინტერესებს, თუ ჩვენ ვერ მივიღებთ ამ დოკუმენტს, მაშინ ატყდება „ქარიშხალი ჭიქაში“, რომელიც არაფრის მომტანი არ იქნება. მე იურისტი არ ვარ, მაგრამ ეს დოკუმენტი უნდა იყოს განსხვავებული. მინდა ამ მოწვევის საკრებულომ ვიამაყოთ ერთი კარგი დოკუმენტის მიღებით. გავხსნათ დისკუსია.

ნ. გოგუაძე - სიტყვა მივცეთ პროექტის ავტორებს და შემდეგ გავმართოთ დისკუსია.

გ. მახარაძე - გამოეხმაურა ქ-ონ ნინო გოგუაძის მიერ წაკითხულ მიმართვას თვითმმართველობებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ჩვენი მოქალაქეების ინიციატივა იყო ამ საკითხზე წამოგვეწყო დისკუსია, რომ საკითხზე ხელისუფლებისათვის მოგვეთხოვა ქალაქი იყოს ცალკე თვითმმართველი ერთეული, რადგანაც თვითმმართველობა არის ხალხი, მივესალმები, თუ საკრებულო მიიღებს ამ დოკუმენტს, რადგანაც უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საზოგადოების ინტერესებში შეიძლება იყოს, მე არ მეგულება დღეს. რაც შეეხება პეტიციას-პეტიცია პირდაპირ არის დაკავშირებული იმასთან, რომ ოზურგეთი არის თვითმმართველი ქალაქი. საჭიროა თვითმმართველობა დაუახლოვდეს მოქალაქეებს, უნდა გაიზარდოს მათი ჩართულობა თვითმმართველობის საქმიანობაში, რაც ნაწილობრივ ცენტრალური ხელისუფლების ბრალიცაა, რადგანაც დაავიანეს მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების მიღება. ჩვენ მოქალაქეების ჩართულობის ფორმები არ გვაქვს შექმნილი და ფორმალური მექანიზმები ამუშავებული. ერთადერთი ფორმალური მექანიზმი მოქალაქეების ჩართულობისა არის პეტიცია. გ. მახარაძემ განმარტა პეტიციის მნიშვნელობა და არსი. გ. მახარაძემ სამართლებრივი საკითხის განმარტებისათვის სიტყვა თამაზ ტრაპაიძეს გადასცა.

თ. ტრაპაიძე - განმარტა, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს ორგანულ კანონსა და მისაღებ რეგულაციებს შორის.

ლ. ხინთიბიძე - პირდაპირი გაცემის წესის აკრძალვით აძლევთ აღმასრულებელ რგოლს უფლებას საკრებულოსთან შეთანხმების გარეშე გასცეს ქონება აუქციონით. სად არის აქ „თვითშეზღუდვა“?

თ. სალუქვაძე - ეს წესი არ არის „თვითშეზღუდვა“, ეს არის სამოქმედო დოკუმენტი არ გასხვისდეს მოსაფრთხილებელი ტერიტორიები.

ნ. გოგუაძე - ჩვენ გთავაზობთ რედაქტირებას მე-3 მუხლის ბ პუნქტში დაემატოს „კაფე“ და „ბარი“.

გ.მახარაძე- “კაფე” და “ბარი” შემოთავაზებულ ღია ტიპის შენობებში.ჩვენ მიერ შემოთავაზებული ჩამონათვალი არის სტანდარტული სარეკრეაციო ზონებისათვის.

ლ. მგელაძე - რატომ ასეთი დაჟინებული მოთხოვნა „კაფისა“ და „ბარის“?

ნ. გოგუაძე - საჭიროა ბატონო ლევან.

თ. ნადირიძე - „კაფესა“ და „ბარზე“-ა საუბარი ამ პეტიციაში?

ნ. გოგუაძე - რაც გვინტერესებს, ყველა პუნქტზე ვსაუბრობთ ქ-ნო თამარ.

ი. პაპავა - აუქციონის წესით გასხვისებაზე გამჭირვალობა და ადამიანების ჩართულობა მეტია.

გ. ძიმისტარიშვილი - მე-4 მუხლით კრძალავთ, მე-3 მუხლით აძლევთ უფლებას სარეკრეაციო ზონის პირდაპირი წესით გაცემაზე. განმიმარტე სარეკრეაციო ზონა.

გ. მახარაძე - სარეკრეაციო ზონის განმარტება არის ბაღი, სკვერი, გაზონი, ამას პლუს საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიები.

გ. ბერძენიშვილი - მე ამ პეტიციით დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ორგანულ კანონში თქვენ წაკითხული გაქვთ ის ნაწილი, რომელიც თქვენ გაინტერესებთ.

ლ. ხინთიბიძე - პეტიცია ან უნდა მივიღოთ ამ სახით, ან არ ვიღებთ.

ე. ჯაფარიძე - მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში ჩაიწეროს საზოგადოებრივი სივრცის „განკარგვა“.

თ. სალუქვაძე - თუ მივიღეთ ნორმატიული აქტი, რომელმაც არ გაამართლა, შევცვლით?

ნ. ორაგველიძე - ვიმსჯელებთ ბევრი, მაგრამ შეიძლება სხვა კუთხით წავიყვანოთ მსჯელობა: სიტყვა „დაუშვებელია“ წინააღმდეგობაში მოდის თვითმმართველობის კოდექსთან. ნორმატიული აქტი უნდა მივიღოთ ისეთი, რომ არ მივიღოთ შენიშვნები. მივესალმები დაცული იქნას სარეკრეაციო ზონები.

გ. მახარაძე - ქ-ნო ნანული, არანაირი წინააღმდეგობა ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ნორმატიული აქტსა და ორგანულ კანონს შორის არ არის.

ნ. გოგუაძე - პეტიციის განმარტებით ბარათში წავიკითხე, სადაც დადგენილების მიღების მიზეზი სარეკრეაციო რესურსის სამართლებრივი დაცვის ნორმების უკმარისობა და სარეკრეაციო და საზოგადოებრივი სივრცის შემცირებაა,ჩემის მოსაზრებით, როგორც საკრებულოს ერთ-ერთი რიგითი წევრის, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიღებით საკრებულო იზღუდავს უფლებას ქონების

პირდაპირი გაცემისა. მუხლობრივ კენჭისყრას აზრი აღარ აქვს, რადგანაც პროექტის ავტორებმა თავიდანვე კატეგორიული უარი თქვეს ამ შესაძლებლობებზე, ამიტომ უნდა ვუყაროთ კენჭი პეტიციას იმ ფორმით, რა ფორმითაც არის შემოტანილი.

ი.საჯაია-პეტიცია ძალიან კარგია, მივესალმები, წინააღმდეგობა გვაქვს ერთ ნაწილზე, თუ შევთანხმდებით კარგია.

ლ. მგელაძე - ჯერ უნდა გვეფიქრა, რატომ წარმოიშვა აუცილებლობა ამ პეტიციის შემოტანის. უკვე საზოგადოებრივი სივრცეები აღარ დარჩა ოზურგეთში, რაც არის მერიისა და მისი სამსახურების დამსახურება. უძრავი ქონება საჯარო რეესტრში არ დაფიქსირებულა იმ ფორმით, რა ფორმითაც იქნა გადმოცემული თვითმმართველი ქალაქის შექმნისას. ქონება დაფიქსირდა თავისუფალ ნაკვეთებათ, კარგი იქნებოდა "პარკს" დარქმეოდა პარკი და "სკვერს" სკვერი.

ნ. გოგუაძე - დავარქვათ სახელები, ჩვენ არა ვართ ამის წინააღმდეგი. ამიტომ იყო საინტერესო მუხლობრივი კენჭისყრა. მაგრამ იძულებული ვართ კენჭი ვუყაროთ პეტიციას შემოტანილი ფორმით.

მომხრე: გ. ძიმისტარიშვილი, თ. ნადირიძე, ლ. მგელაძე, თ. სალუქვაძე, ნ. შარაშანიძე

წინააღმდეგი: 8 ხმა

დაადგინეს: არ იქნას მიღებული დადგენილება.

13⁵⁰ წთ-ზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

14⁰⁰ სთ-ზე განახლდა სხდომა

სხდომას არ ეწრებოდა ვ. ჩიგოგიძე

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ნაგავმზიდი ავტომობილების Mercedes-Benz (რეგისტრაციის ნომერი DD-782-FF გამოშვების წელი 2016 რეგისტრაციის თარიღი 29.03.2017წ.) და Mercedes-Benz (რეგისტრაციის ნომერი DD-783-FF გამოშვების წელი 2016 რეგისტრაციის თარიღი 29.03.2017წ.) ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრისათვის არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ლ. მგელაძე - ნაგავმზიდები ჩვენ შევიძინეთ? რატომ რგფ-მა მანქანა მოგვცა და არა ფული? დეცენტრალიზაცია არ არის ეს.

მ. წიფწივაძე - დონორმა ორგანიზაციამ მოგვცა მანქანები.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

4. „მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი**

მომხსენებელმა გ. ხუროშვიმ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

სხდომის თავმჯდომარე ნინო გოგუაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა